ელენე დონაური

მსახიობი ელენე დონაური დაიბადა 1890 წლის 9 აპრილს, გურჯაანის რაიონის (ახლანდელი მუნიციპალიტეტის) სოფელ ბაკურციხეში, სოფლის მემამულის ოჯახში. ელენეს ქალიშვილობის გვარი ვაჩნაძეა, დონაური კი მისი ფსევდონიმია. ელენე დონაური იყო რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის მეუღლე.

საშუალო განათლება მიიღო თბილისის ქალთა მე-3 გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1906 წელს. სასცენო ხელოვნებას გაეცნო მოწაფეობის დროს და არდადეგების პერიოდში სოფელში თვითონაც მართავდა საბავშვო წარმოდგენებს.

სწავლობდა თბილისში, არმენ დოლუხანოვის დრამატულ სკოლაში და პეტერბურგში, დრამატულ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1916 წლამდე მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის რუსულ თეატრში: ტაგანროგში, როსტოვში, ტამბოვსა და ორენბურგში, ასევე პეტერბურგში ვერა კომისარჟევსკაიას ხელმძღვანელობით მოქმედ თეატრში და სხვ.

1920 წელს ჩამოვიდა თბილისში და 1926 წლამდე ქართულ თეატრში (შემდეგ შ. რუსთაველის სახელობის თეატრი) თამაშობდა. 1926-1928 წლებში გამოდიოდა თბილისის მუშათა თეატრში. 1928 წლიდან კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებული ქუთაის-ბათუმის თეატრის მსახიობია. თეატრს 1933 წლიდან კოტე მარჯანიშვილის სახელი ეწოდა, ელენე დონაური ამ თეატრის წამყვან მსახიობად ითვლებოდა. ასრულებდა სხვადასხვა ხასიათის როლებს.

მსახიობმა ქართულ სცენაზე განასახიერა 50-მდე როლი. მათ შორის: ოთარაანთ ქვრივი სპექტაკლში „ჩატეხილი ხიდი“ (ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, ინსცენირება შალვა დადიანისა), ქეთევანი – „ნინოშვილის გურია“ (ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით, ინსცენირება მისივე), დესპინე – შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“, გიორგი სააკაძის დედა თამარი – უშანგი ჩხეიძის პიესაში „გიორგი სააკაძე“, მართა – მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერაში“, ემილია – უილიამ შექსპირის „ოტელოში“ და სხვ.

ელენე დონაურმა რუსულ სცენაზე სხვადასხვა დროს განასახიერა: აკულინა – სპექტაკლში „მეუფება წყვდიადისა“ (ლევ ტოლსტოის), ნასტია – „ფსკერზე“ (მაქსიმ გორკის), სონია – „ძია ვანია“ (ანტონ ჩეხოვის), გაიანე – „ღალატი“ (ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის), მეფის ასული – „მეფის დალაქი“ (ანატოლი ლუნაჩარსკის), ჯესიკა – „ვენეციელი ვაჭარი“ (უილიამ შექსპირის), ივდითი – „ურიელ აკოსტაში“ (კარლ გუცკოვის) და სხვ.

მუშაობდა ბათუმში არსებულ დრამატულ სტუდიაში მეტყველების პედაგოგად. დაწერა მოგონებები მეუღლის, კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და გამოაქვეყნა რეჟისორისადმი მიძღვნილ კრებულში 1948 წელს.

1936 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

1950 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება.

ელენე დონაური გარდაიცვალა 1955 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

ელენე დონაურის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

პირადობის დამადასტურებელი საბუთები

1. ელენე დონაურის სამემკვიდრეო მოწმობა, გაცემული თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ.
   1933 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ნოტარიუსი ნ. ღლონტი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის (ყოფილი) მოსახლეობის დაცვის საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის უბნის მიერ გაცემული მოწმობა ელენე დონაურისადმი, საჰაერო და ქიმსაწინააღმდეგო თავდაცვის ნორმების ჩაბარებასთან დაკავშირებით.
   1938 წ. 9 დეკემბერი. ბლანკიანი ფურცელი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

ავტობიოგრაფიები

3. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია.
   1939 წ. 15 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

4. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია.
   1944 წ. 4 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ.

6. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2გვ.

7. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

8. ელენე დონაურის ავტობიოგრაფია, დაწერილი დ. ჯანელიძის მიერ.
   უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი და საკვალიფიკაციო ფურცელი

9. ელენე დონაურის მიერ შევსებული კადრების აღრიცხვის ფურცელი.
1938 წ. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

10. ელენე დონაურის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 29 მარტი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული.
რუსულ ენაზე. 4 გვ.

11. ელენე დონაურის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 29 ივნისი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

12. ელენე დონაურის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1944 წ. 4 მაისი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. 4 გვ.

13. ელენე დონაურის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი – ივანე გვინჩიძის რეზოლუციით.
1946 წ. 2 ოქტომბერი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.

14. ელენე დონაურის საკვალიფიკაციო ფურცელი.
1954 წ. თბილისი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 6 გვ.

15. ელენე დონაურის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
30 ოქტომბერი. ბლანკიანი ფურცელი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

დახასიათებები

16. ელენე დონაურის დახასიათება, გაცემული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიერ.
1946 წ. 4 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: თეატრის დირექტორი ივ. გვინჩიძე. 1 გვ.

17. ე. დონაურის დახასიათება, გაცემული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიერ, მსახიობის ხმის დაკარგვის გამო მისი სპექტაკლიდან მოხსნასთან დაკავშირებით.
1954 წ. მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე, მთავარი რეჟისორი – ვ. ტაბლიაშვილი. 1 გვ.

ცნობები

18. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიერ გაცემული ცნობა ელენე დონაურისადმი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრში მსახიობად მუშაობის შესახებ.
1946 წ. 27 იანვარი. ბლანკიანი ფურცელი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – ივ. გვინჩიძე, საქმეთა მმართველი – ე. გურგენიძე. 1 გვ.

19. ელენე დონაურის ცნობა. პირადი მონაცემები.
1955 წ. 16 აპრილი. ხელით შევსებული. ბლანკიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

20. კოტე მარჯანიშვილის ქვრივის ელენე დონაურის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული თბილისის მილიციის მე-2 განყოფილების მიერ.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

21. ელენე დონაურის ცნობა (პირადი მონაცემები).
უთარიღო. ნაბეჭდი. ბლანკიანი ფურცელი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

მიმართვები

22. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა სამმართველოს მიმართვა მსახიობ ელენე დონაურისადმი, 1939 წლის 11 აპრილის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მიხედვით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.
1940 წ. 1 აპრილი. ბლანკიანი ფურცელი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი ბ. ჩარექიშვილი. 1 გვ.

23. საქართველოს სათეატრო მუზეუმის (ახლანდელი ხელოვნების სასახლის) დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილის მიმართვა საქართველოს დამსახურებულ არტისტ ელენე დონაურისადმი, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლის იუბილესთვის საგამოფენოდ ხელნაწერების მიწოდებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 12 მაისი. ბლანკიანი ფურცელი. ხელნაწერი. 1 ც.

განცხადება, მინდობილობა,

საპატიო სიგელი, ხელშეკრულება

24. ელენე დონაურის განცხადება შ. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციისადმი მატერიალურ დახმარებასთან დაკავშირებით.
1923 წ. 6 მარტი. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. მელანი. 2 გვ.

25. ელენე დონაურის მინდობილობა ელენე ვაჩნაძისადმი, დაწესებულებებისა და კერძო პირებისგან თანხისა და სხვადასხვა საბუთების ე. ვაჩნაძის სახელზე გადაცემის შესახებ.
1933 წ. 4 ოქტომბერი, 1934 წ. 19 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ნოტარიუსი ნ. ღლონტი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული ე. დონაურის საპატიო სიგელი, სასცენო მოღვაწეობაში განსაკუთრებული წვლილისთვის.
1939 წ. თბილისი. სტამბური. ხელს აწერენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – ფ. მახარაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ვ. ეგნატაშვილი. 1 ც.

27. ელენე დონაურსა და გამომცემლობა „Заря Востока“-ს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება.
1948 წ. 16 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკიანი ფურცელი.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

28. ელენე დონაურის ლიტერატურულ ნაშრომთა ამსახველი მასალა.
1947 წ. 14 მაისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

29. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესა „ავენობის სკოლა“ („ავსიტყვაობის სკოლა“), ავტორი რიჩარდ შერიდანი (კომედია 5 მოქმედებად).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 164 გვ.

30. ელენე დონაურის ნაშრომი – „როგორ მუშაობდა კოტე მარჯანიშვილი თეატრში“.
უთარიღო. ნაბეჭდი. ავტორისეული ჩასწორებით. რუსულ ენაზე. 3 გვ.

31. ელენე დონაურის ნათარგმნი პიესა „დასის დირექტორი“ („Директор труппы“). ავტორი უცნობია.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 38 გვ.

32. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესა – „ძველ აგარაკზე“ (ავტორი იალუნერი).
უთარიღო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. 6 გვ.

33. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესა – „ერთი ღამის შეცდომები“. ავტორი ოლივერ გოლდს-მიტი (კომედია 5 მოქმედებად).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 92 გვ.

34. ელენე დონაურის მიერ თარგმნილი პიესა – „შუა საუკუნეებში“ (ავტორი შეინინი).
უთარიღო. ავტოგრაფი. არასრული. 26 გვ.

35. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი ალექსანდრ ოსტროვსკის პიესა – „შემოსავლიანი ადგილი“ (ნაწყვეტი, პულინასისა და ჟადოვის სცენა).
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 6 გვ.

36. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესები.
უთარიღო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. არასრული. 4 რვეული. 373 გვ.

37. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესების ფრაგმენტები.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი, ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 67 გვ.

38. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესა (უსათაურო).
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 რვეული. 8 გვ.

39. ელენე დონაურის მიერ ნათარგმნი პიესა (უსათაურო).
უთარიღო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 რვეული. 187 გვ.

ჩანაწერები

40. ელენე დონაურის ფრაგმენტული ხასიათის ჩანაწერები.
უთარიღო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. ფანქარი, მელანი. 15 გვ.

41. ელენე დონაურის ბლოკნოტი სხვადასხვა სახის ჩანაწერებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

მოგონება

42. ელენე დონაურის მოგონება კოტე მარჯანიშვილის შესახებ.
პირი: კოტე, ლევანი (ელენე დონაურის შვილიშვილები), ირინა (ელენე დონაურის შვილი), მარგარიტოვი, ირაკლი გამრეკელი, ნეზლობინი, ანეტა ქიქოძე, თამარ ჭავჭავაძე, [ვალერიან გაფრინდაშვილი] (პოეტი), პაჭიკა (დამხმარე მუშა, აფიშებს აკრავდა), ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ნიკა ყაზბეგი, სერგო ჭელიძე, იოსებ შარლემანი, უშანგი ჩხეიძე, კოტე მეღვინეთ-უხუცესი, ნუნუ მაჭავარიანი, შალვა ღამბაშიძე, რაზმაძე, კაკაბაძე, მედეა ქორელი, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, პიერ კობახიძე, ვ. იურენევა, პევცოვა, ვასილი ლივანოვი, გიორგი შავგულიძე, ვ. პოპოვა, ვლადიმიროვა, ნევეჟინი, პოტეხინი, ალექსანდროვი, რომაშევი.
უთარიღო. ნაბეჭდი. 55 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ელენე დონაურის წერილი

43. ელენე დონაურის წერილი კოტე მარჯანიშვილისადმი, სპექტაკლების „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ოტელოს“ შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

წერილები ელენე დონაურისადმი

44. კოტე მარჯანიშვილის საავადმყოფოდან გამოგზავნილი პირადი ხასიათის მცირე ზომის წერილი ელენე დონაურისა და ახლობლებისადმი.
1926 წ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფანქარი. 2 გვ.

45. კ. მარჯანიშვილის წერილი ე. დონაურისადმი, მის მიერ დაწერილ მინდობილობაზე ინფორმაციის წერილით გაგზავნის შესახებ.
1931 წ. 20 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფანქარი. 2 გვ.

46. ვ. გოგოლევას წერილი ე. დონაურისადმი, მოსკოვის მცირე თეატრში შექმნილ დაძაბულ სიტუაციასთან დაკავშირებით.
1933 წ. 31 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

47. საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციის“ თხოვნა ელენე დონაურისადმი, კოტე მარჯანიშვილზე წიგნის გამოსაცემად, პ. კეშელავასთვის კონსულტაციის გაწევის შესახებ.
1935 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ბლანკიანი ფურცელი. ხელს აწერენ: გამომცემლობის დირექტორის მოადგილე – რ. გვეტაძე, საქმეთა მმართველი – თ. ხუნდაძე. 1 გვ.

48. პლატონ კეშელავას წერილი ელენე დონაურისადმი კოტე მარჯანიშვილის მემუარებისა და მოგონებების საავტორო უფლებების დაცვით გამოცემასთან დაკავშირებით.
პირი: ელენე ვაჩნაძე (ელენე დონაურის ბიძაშვილი).
1936 წ. 9 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

49. ნინას [დიკორი] წერილი ე. დონაურისადმი, გადაცემული ექსპონატების სამუზეუმო სივრცეში დაცვის შესახებ.
1939 წ. 20 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2გვ.

50. ნინას [დიკორი] პირადი ხასიათის წერილი ე. დონაურისადმი.
1939 წ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

51. გიორგის (გვარი მითითებული არ არის) წერილი ელენე დონაურისადმი, თეთრ ლექსად დაწერილი პედრო კალდერონის პიესის – „Саламейский алькальд“-ის („სალამეის მოსამართლე“) ქართულ ენაზე პროზაულად თარგმნასთან დაკავშირებით. მოიხსენიებს სპექტაკლებს: „ნაპერწკლით“ (იგივე „ნაპერწკლიდან“), „გიორგი სააკაძე“, „ამბავი ქალზე“ (იგივე „ამბავი ერთი ქალიშვილისა“), „ნასრედინი“ და „მარგარიტა გოტიე“.
პირი: კოტე მარჯანიშვილი, სერიოჟა, ლევანი (გვარები მითითებული არ არის).
1940 წ. 13 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

52. ა. ბახრუშინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის ბუღალტერიის ოფიციალური წერილი ელენე დონაურისადმი, შემსყიდველი კომისიის მიერ შეძენილი მასალის საფასურად 1.000 მანეთის გამოგზავნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 27 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მთავარი ბუღალტერი – ნესტოროვი, მდივანი – ვასილჩენკო. რუსულ ენაზე. 1 გვ.

53. ნინას [დიკორი] წერილი ელენე დონაურისადმი, თანხის მის ანგარიშზე დარიცხვის შესახებ.
1940 წ. 27 ოქტომბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 2 გვ.

54. აზერბაიჯანის სახალსო არტისტის ა. ტუგანოვის სამადლობელი წერილი ელენე დონაურისადმი.
1946 წ. 8 იანვარი. ბაქო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

55. ო. როსინას წერილი ელენე დონაურისადმი, კოტე მარჯანიშვილის მიერ სხვადასხვა თეატრში დადგმული სპექტაკლების: „მოაგარაკენი“ – ალექსანდრ ოსტროვსკის, „მშვენიერი ელენე“ – ოფენბახის, „ჰამლეტი“ – უილიამ შექსპირის, „ცხვრის წყარო“ – ლოპე დე ვეგას და სხვა ნაციონალური შინაარსის სპექტაკლების ფოტომასალის მიწოდებასთან დაკავშირებით წიგნისთვის „კოტე მარჯანიშვილი“.
1946 წ. 10 თებერვალი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

56. დოდო ანთაძის წერილი ელენე დონაურისადმი, კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე მიწვევასთან დაკავშირებით.
1947 წ. 8 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

57. ნინა დიკორის წერილი ელენე დონაურისა და ელენე ვაჩნაძისადმი, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.
1948 წ. 22 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

58. ნინას [დიკორი] წერილები ელენე დონაურისადმი, MXAT-ის (მოსკოვის სამხატვრო თეატრი) იუ-ბილესთვის მზადებასთან დაკავშირებით.
პირი: გოგოლევა, იაბლოჩკინა.
1948 წ. 5 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

59. ნინას [დიკორი] წერილი ე. დონაურისადმი, კ. მარჯანიშვილის წერილების თეატრალური საზოგა-დოებისა და მუზეუმისთვის მიყიდვასთან დაკავშირებით.
1948 წ. 12 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

60. ა. ფევრალსკის წერილი ელენე დონაურისადმი, მოსკოვის ა. ბახრუშინის სახელობის მუზეუმში მისი მოგონებების გაგზავნის შესახებ.
პირი: ტაიროვი, ნიკულინი, ჟიკოკინი, ბერსენევი, ერენბურგი, თამარ ვახვახიშვილი, ვ. იურენევა.
1948 წ. 25 ნოემბერი. მოსკოვი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

61. დავით (დათიკო) ჩხეიძის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
1953 წ. 13 აპრილი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

62. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
4 ივლისი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

63. ვ. გოგოლევას წერილი ე. დონაურისადმი, მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე ფრიდრიხ შილე-რის „დონ კარლოსის“ ტრიუმფალურ წარმატებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

64. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

65. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისდმი.
პირი: ნინა, ვასო, ტანია (გვარები მითითებული არ არის).
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

66. ელენე ვაჩნაძის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი. აგრეთვე პ. კაკაბაძის სპექტაკლ „ყვარყვარე თუთაბერში“ უშანგი ჩხეიძის შესანიშნავ თამაშთან დაკავშირებით.
პირი: ანეტა [ქიქოძე]
უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 10 გვ.

67. უცნობი პირის (გვარი არ იკითხება) პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
პირი: თამარა, სერგეი ფილიმონოვიჩ (გვარები მითითებული არ არის).
უთარიღო. კიევი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

68. ინას (გვარი მითითებული არ არის) პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
პირი: ირინა (გვარი მითითებული არ არის), ელენე მიხეილის ასული [ვაჩნაძე].
უთარიღო. ხელნაწერი. არასრული. აკლია დასაწყისი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

69. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი ელენე დონაურისადმი.
პირი: ლელე (გვარი მითითებული არ არის).
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

ღია ბარათები

70. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
პირი: ლელე (გვარი მითითებული არ არის).
1929 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

71. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
1931 წ. 5 დეკემბერი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

72. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
პირი: ლელე (გვარი მითითებული არ არის).
1931 წ. 30 იანვარი. ხარკოვი, მოსკოვი. ფანქარი. ავტოგრაფი. 1 ც.

73. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
1932 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

74. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
1933 წ. 20 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

75. ვ. ერმოლოვას ღია ბარათი ელენე დონაურისადმი, მის მიერ მოწოდებული ესკიზებისა და ფოტომასალის 1.000 მანეთად შეფასების შესახებ.
1940 წ. 8 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

76. ვ. ერმოლოვას ღია ბარათი ელენე დონაურისადმი, მისთვის 1.000 მანეთის გადაგზავნასთან დაკავშირებით.
პირი: ნინა დიკორი.
1940 წ. 20 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.

77. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ღია ბარათი ელენე დონაურისადმი.
პირი: ნინა (გვარი მითითებული არ არის).
(?) 6 დეკემბერი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

პროგრამები

78. სახაზინო თეატრში კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით გამართული სპექტაკლის, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ პროგრამა.
1912 წ. 11 აპრილი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

79. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრ-სტუდიის სპექტაკლ „ცხვრის წყაროს“ პროგრამა.
1935-1936 წწ. სტამბური. 1 ც.

80. კ. მარჯანიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამა.
1940 წ. 25 მაისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

81. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრთან არსებული სტუდიის საჩვენებელი წარმოდგენის „ვანიუშინის ოჯახის“ პროგრამა.
1949 წ. 28 მარტი. სტამბური. 1 ც. 2 ეგზ.

მოსაწვევი ბარათები

82. ველისციხის თეატრის დირექციის მოსაწვევი ბარათი, ელენე დონაურისადმი, თეატრის გახსნასთან დაკავშირებით.
1931 წ. 28 მაისი. ველისციხე. ნაბეჭდი. 1 ც.

83. უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების კულტურის განყოფილების მოსაწვევი ბარათი ე. დონაურისადმი.
1947 წ. 13 იანვარი. სტამბური. ხელით შევსებული. 1 ც.

84. კ. მარჯანიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1947 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

დეპეშები

კოტე მარჯანიშვილის დეპეშები ელენე დონაურისადმი

85. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1923 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

86. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვის საცხოვრებელი სახლის მისამართის შესახებ.
1931 წ. 12 დეკემბერი. მოსკოვი. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

87. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვის საცხოვრებელი სახლის მისამართის შესახებ.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

88. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

89. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, როსტოვში ჩასვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

90. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, სპექტაკლის (სახელწოდება მითითებული არ არის) დანიშვნასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

91. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, როსტოვში მშვიდობიანად ჩასვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

92. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
პირი: დოდო [ანთაძე].
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

93. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

94. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

95. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

96. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი პიესა „სოლნეცის“ თამარ ვახვახიშვილის მიერ მუსიკალურ გაფორმებასთან დაკავშირებით.
პირი: ღოღობერიძე, ოცხელი [პეტრე], ლელე (გვარი მითითებული არ არის).
1931 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

97. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, პიესასთან (პიესა მითითებული არ არის) დაკავშირებით.
პირი: დოდო [ანთაძე], ხაჩიძე.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

98. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

99. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1931 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

100. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით.
1932 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

101. კ. მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით.
პირი: ირინა, ლელე, ლეუშკა (გვარები მითითებული არ არის).
1932 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

102. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1932 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

103. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
პირი: ამაღლობელი.
1932 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

104. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1933 წ. მოსკოვი. მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

105. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით.
1933 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

106. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვიდან საშობაოდ ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1933 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

107. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1933 წ. მოსკოვი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

108. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.
1933 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

109. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
1933 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

110. კოტე მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ელენე დონაურისადმი.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

111. კოტე მარჯანიშვილის დეპეშა ელენე ვაჩნაძისადმი, ელენე დონაურის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

სხვადასხვა პირთა დეპეშები

112. ვერიკო ანჯაფარიძის დეპეშა ელენე დონაურისადმი, კოტე მარჯანიშვილის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.
1947 წ. 18 დეკემბერი. გაგრა. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

113. სერგეი და ირინა ფევრალსკების მისალოცი დეპეშა ელენე დონაურისადმი უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

114. ფრანგიშვილის მისალოცი დეპეშა ელენე დონაურისადმი, უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 ც.

115. გოგოლევასა და აქსიონოვის მისალოცი დეპეშა ელენე დონაურისადმი, უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

116. სესილია თაყაიშვილის მისალოცი დეპეშა ელენე დონაურისადმი, უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

117. გალიას (გვარი მითითებული არ არის) მისალოცი დეპეშა ელენე დონაურისადმი, უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. სოხუმი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

118. მოსკოვის მუზეუმის (დასახელება მითითებული არ არის) დირექტორის თანამშრომლის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მასალის შეძენასთან დაკავშირებით.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

119. მოსკოვის მუზეუმის (მითითებული არ არის) დირექციის თანამშრომლის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მუზეუმისთვის მიწოდებული მასალის შეძენასთან დაკავშირებით.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. 1 ც.

120. იაკოვლევის დეპეშა ელენე დონაურისადმი, მარჯანიშვილისა [კოტე] და დალცევის მივლინებიდან დაბრუნების შესახებ.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

სხვადასხვა

121. კოტე მარჯანიშვილის სხვადასხვა სახის ჩანაწერები მცირე ზომის ფურცელზე.
1922 წ, 1933 წ. ავტოგრაფი. ფანქარი, მელანი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

122. 1) კ. მარჯანიშვილის პირადი ხასიათის ჩანაწერი. 3 გვ. 2) კომისიის წევრის პატარიძის თხოვნა ბატონ გიორგისადმი (გვარი მითითებული არ არის), მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.
1923 წ. მაისი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

123. ა. ნევსკაიას პირადი ხასიათის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი.
1927 წ. 24 მარტი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ. (არ გაიცემა).

124. ა. ნევსკაიას პირადი ხასიათის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი.
1927 წ. 13 სექტემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ. (არ გაიცემა).

125. ა. ნევსკაიას პირადი ხასიათის წერილი კ. მარჯანიშვილისადმი.
1927 წ. 9 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ. (არ გაიცემა).

126. კოტე მარჯანიშვილის შვილის – კონსტანტინე მარჯანიშვილის რეფერატი მათემატიკაში.
1929 წ. თბილისი. სტამბური. ქართულ და გერმანულ ენაზე. 8 გვ.

127. კ. მარჯანიშვილის მინდობილობა ელენე მიხეილის ასულ ვაჩნაძისადმი, დაწესებულებებისა და კერძო პირებისგან თანხისა და სხვადასხვა საბუთების გადაცემის შესახებ (მასალას აქვს თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭედი).
1931 წ. 3 დეკემბერი. 1932 წ. 7 იანვარი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

128. კ. მარჯანიშვილის ჩანაწერი-მინიშნება, ელენე მიხეილის ასული ვაჩნაძისგან 1.500 მანეთის მიღების შესახებ.
1932 წ. 11 იანვარი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

129. ხათუნას (გვარი მითითებული არ არის) პირადი ხასიათის დეპეშა კ. მარჯანიშვილისადმი.
1932 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

130. მონაცემები კ. მარჯანიშვილის ფილმების სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენების შესახებ.
1933-1934 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. 20 გვ.

131. კ. მარჯანიშვილის მიერ ჩამოწერილი სია – თ. ზივარევასგან მიღებული სხვადასხვა მასალის შესახებ.
1934 წ. 3 აპრილი. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

132. ჰოიულეტისა და ა. დაის შეფასებები კ. მარჯანიშვილის სპექტაკლების შესახებ.
1945 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

133. შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მოსაწვევი ბარათი ელენე ვაჩნაძისადმი, კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისთვის გამართულ საღამოსთან დაკავშირებით.
1956 წ. 11 იანვარი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

134. ირაკლი გამრეკელის მოგონება კ. მარჯანიშვილთან პირველ შეხვედრასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

135. უცნობი პირის მოგონება კ. მარჯანიშვილის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. არასრული. აკლია ორი გვერდი, ასევე დაბოლოება. მელანი. 3 გვ.

136. უცნობი პირის მოგონება კ. მარჯანიშვილის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. აკლია დასაწყისი და დაბოლოება. 1 გვ.

137. უცნობი პირის კრიტიკა უცნობი გაზეთის შესახებ.
უთარიღო. ხელნაწერი. არასრული. აკლია დასაწყისი და დაბოლოება. 1 გვ.

138. კ. მარჯანიშვილის პირადი ხასიათის დეპეშა ნინა მიხეილის ასულ გუნცაძისადმი.
უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

139. კ. მარჯანიშვილი შარჟი სამახსოვრო მინაწერით. უცნობი პირის ჩანახატი (გვარი მითითებული არ არის).
უთარიღო. ფანქარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

140. კ. მარჯანიშვილის ექსლიბრისი.
უთარიღო. 1 ც.